[illegible]

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 6/997

29 10 2007 წ. ქ. თბილისი

ქ. თბილისში, ვაკე-საბურთალოს რაიონში, ატენის ქ. №18-ის მიმდებარედ, მოქ. ლ. კახიძის კუთვნილ მიწის ნაკვეთზე, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ.

იმის გამო, რომ მიწის ნაკვეთი არის მოქ. ლ. კახიძის საკუთრებაში, შევიდეს ცვლილება კორექტირებული არქიტექტურული პროექტის შეთანხმების №03/545 (04.06.2007წ) ბრძანებაში და დამკვეთად ნაცვლად მოქ. მ. მუმლაძისა მიეთითოს მოქ. ლ. კახიძე. შესაბამისად მშენებლობის ნებართვა გაიცეს მესაკუთრის მოქ. ლ. კახიძის სახელზე.

საფუძველი: - ამონაწერი საჯარო რეესტრიდან და საკადასტრო რუკა (სარეგისტრაციო №337223/2006; №012007129266; 01/14/14/11/048)
- ქ. თბილისის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის უფროსის ბრძანება №03/545 04.06.2007წ კორექტირებული არქიტექტურული პროექტის შეთანხმების შესახებ.

მიწის ნაკვეთის ფართ :	- 3124.0	მ²
მოშენების ფართი:	- 2082.0	მ²
საერთო ფართი:	- 13983.66	მ²
მათ შორის:		
ბინების ფართი:	- 5948.1	მ²
სასაფხულო ფართი:	- 1721.9	მ²
მანსარდის ფართი:	- 227.4	მ²
ავტოფარეხების და სარდაფის ფართი:	- 5012.0	მ²
კიბის უჯრედის ფართი:	- 840.0	მ²
სახურავის ტერასის ფართი:	- 871.0	მ²
სამშენებლო მოცულობა:	- 39209.0	მ³

თანახმად საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-100 მუხლის და საქართველოს მთავრობის 11.08.2005 წლის №140-ე დადგენილების მე-5 თავისა

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. შევიდეს ცვლილება კორექტირებული არქიტექტურული პროექტის შეთანხმების №03/545 (04.06.2007წ) ბრძანებაში სადაც დამკვეთად მიენიშნოს მოქ. ლ. კახიძე.
2 გაიცეს ქ. თბილისში, ვაკე-საბურთალოს რაიონში, ატენის ქ. №18-ის მიმდებარედ, მოქ. ლ. კახიძის კუთვნილ მიწის ნაკვეთზე, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობის ნებართვა და სანებართვო მოწმობა;
3. მშენებლობის ვადა განისაზღვროს 2007 წლის 1 ნოემბრიდან 2009 წლის 1 ნოემბრამდე;

– მშენებლობის ეტაპები: დაკვალვა, ფუძის მოწყობა, ნულოვანი ციკლის დასრულება, გადახურვის მოწყობა, მე-5 სართულის დასრულება, დამატებითი ძირითადი მზიდი კონსტრუქციის სამშენებლო სამუშაოების დასრულება
– მშენებლობის დამთავრების შემდეგ ობიექტი მიღებულ იქნას ექსპლუატაციაში კანონმდებლობით დადგენილი წესით
– წინამდებარე ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მთავრობაში (მის: თავისუფლების მოედანი №2) ან ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოში 1 თვის ვადაში.

სამსახურის უფროსი – მ. მახათაძე

შემსრ: ს. ბიჩინაშვილი

14

მშენებლობის სანებართვო მოწმობა № 6/994-1

ნებართვის გაცემის თარიღი „29" 10 2007წ.

მშენებლობის დაწყების თარიღი 1 ნოემბერი 2007 წ.

ნებართვა ძალაშია 1 ნოემბერი 2009 წ.

დამკვეთი ლ. კახიძე

(დასახელება)

მშენებლობის ობიექტი მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი

(დასახელება, ფუნქციური დანიშნულება)

ვაკე-საბურთალოს რაიონში, ატენის ქ. №18-ის მიმდებარედ

(მისამართი / ადგილმდებარეობა)

01/14/14/11/048

(მიწის ნაკვეთის საკადასტრო ნომერი)

შ.პ.ს. „თბილქალაქპროექტი–V"

(საპროექტო ორგანიზაცია)

პროექტი შეთანხმებულია ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის მიერ (დავით აღმაშენებლის გამზ. №89/24)

(შემთანხმებელი ორგანიზაციის დასახელება, მისამართი)

ნებართვა გაიცა ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის მიერ (დავით აღმაშენებლის გამზ. №89/24)

(ნებართვის გამცემი ორგანოს დასახელება, მისამართი)

ბრძანება №03/545 04.06.2007წ

ნებართვაზე ხელმომწერი პირი: მ. მახათაძე

(სახელი, გვარი)

სამსახურის უფროსი

(თანამდებობა)

ბ. ა.

შემსრ: ზ. ბიჩინაშვილი

უკან დაბრუნება (/ka/document/search?query=%E1%83%90%E1%83%93%E1%83%92%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%95%E1%83%98+%E1%83%9B%E1%83%9D%E1%83%A1%E1%06-2015&publishing_date_to%5Bdate%5D=&status=&additional_status=&op=%E1%83%AB%E1%83%94%E1%83%91%E1%83%9C%E1%83%90&form_build_id=form-d2sj7Ih5SMXM7gg-nkS6bunGa7E-cE1fxyNEFI3d6dY&form_id=_document_search_form)

საქართველოს კანონი

„ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი **1.** „ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონში (პარლამენტის უწყებანი, №21-22, 14.06.1998, გვ. 6) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. 17^2 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. თვითმმართველი ერთეულის უფლებამოსილ ორგანოს, ქალაქ თბილისში – ქალაქ თბილისის მთავრობას უფლება აქვს, შენობა-ნაგებობის მშენებლობის დროულად დასრულების, ქალაქის განვითარების და მისი იერსახის გაუმჯობესების მიზნით, სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის მოსაკრებლის გადამხდელთან, რომელსაც ამ მუხლის ამოქმედების დროისათვის აქვს ამ მოსაკრებლის გადახდის ვალდებულება, მოსაკრებლის გადამხდელის წერილობითი განცხადების საფუძველზე დადოს შეთანხმება გადასახდელი მოსაკრებლის გადახდის გადავადების შესახებ. ამ შეთანხმების დადებისას მოსაკრებლის გადამხდელმა უნდა აიღოს ვალდებულება, რომ იგი შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების შესახებ განცხადებას წარუდგენს უფლებამოსილ ორგანოს მოსაკრებლის გადამხდელის მიერ განსაზღვრულ ვადაში, მაგრამ არაუგვიანეს 2016 წლის 1 იანვრისა, და რომ შენობა-ნაგებობა დააკმაყოფილებს ექსპლუატაციაში მიღებისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.“.

2. კანონს დაემატოს შემდეგი შინაარსის 17^4 მუხლი:

„მუხლი 17^4. სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის მოსაკრებლის გადახდისაგან გათავისუფლება

სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის მოსაკრებლის გადამხდელი თავისუფლდება ამ მუხლის ამოქმედებამდე გაცემული სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის გადაუხდელი მოსაკრებლის გადახდისაგან, თუ შესრულებულია ყველა შემდეგი პირობა:

ა) ობიექტის მშენებლობის ნებართვა 2008 წლის 8 აგვისტოს მდგომარეობით გაიცა ან საპროექტო დოკუმენტაცია (არქიტექტურული პროექტი) უფლებამოსილ ორგანოსთან 2008 წლის 8 აგვისტოს მდგომარეობით შეთანხმებული იყო, ხოლო მშენებლობის ნებართვა შემდეგ გაიცა;

ბ) ობიექტის ექსპლუატაციაში მიღების მიზნით, უფლებამოსილი ორგანო ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს 2018 წლის 1 იანვრამდე გამოსცემს;

გ) ობიექტი მთლიანად ან ობიექტის არანაკლებ 60%-ისა განკუთვნილია საცხოვრებლად.“.

მუხლი **2.** ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი

ქუთაისი,

27 ივნისი **2015** წ.

N3818-რს

სსიპ "საქართველოს საკანონმდებლო მაცნე" 2010-2015, ყველა უფლება დაცულია. დამუშავებულია AzRy©LTD (http://www.azry.com)-ს მიერ

განამარტებითი ბარათი.

გიგზავნით N6/997 ბრძანები ასლს, რომლის მიხედვითაც განისაზღვრა მოქ.ლალი კახიძის კუთვნილ მიწის ნაკვეთზე ატენის ქ.N18 - შემდეგში ჭავჭავაძის N5ა- ში ბინათ მშენებლობა, ვადით 2007 წლის 1 ნოემბრიდან 2009 წლის 1 ნოემბრამდე, რომლის მშენებლობა 2008 წლის 8 აგვისტოდან შეჩერდა დღემდე, აღნიშნულიდან გამომდინარე შეეხო პრეზიდენტის 27 ივნისის 2015 წლის N3818 - რს კანონი. რის შედეგადაც განთავისუფლდა კოეფიციენტის მოსაკრებელისგან.